4

ქართული

მოსწავლის წიგნი
ნაწილი I

ნინო გორდელაძე
თინათინ კუხიანიძე

გაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

გრიფმინიჭებულია საქართველოს
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტროს მიერ 2018 წელს.

შინაარსი

თავი 1.

ხელოვნების ძალა 7

მეჩონგურე *ხალხური* 8

გრამატიკა. ქართული ანბანი და ასოთა სახელები 12

სალამურას თავგადასავალი (ნაწყვეტები) *არჩილ სულაკაური* 14

გრამატიკა. მჟღერი და ყრუ თანხმოვნები 25

ხელოვნების სამი დარგი 26

თავი 2.

ჩემო კარგო ქვეყანავ 28

ქორობია (ნაწყვეტი აკაკი წერეთლის
წიგნიდან „ჩემი თავგადასავალი“) *აკაკი წერეთელი* 29

გრამატიკა. არსებითი სახელი. 31

თეორია. პოეზია და პროზა 32

ცხრა ძმა ხერხეულიძე *იაკობ გოგებაშვილი* 33

ასეთი დარი თუ იყო მაშინ *ანა კალანდაძე* 35

გრამატიკა. არსებითი სახელის რიცხვი 36

სამასი თავდადებული ქართველი *იაკობ გოგებაშვილი* 37

სამასი სპარტელი *თ. ოთხმეზური*. 39

კრწანისის ყაყაჩოები (სამასი არაგველის ხსოვნას) *ლადო ასათიანი*. . . 42

გრამატიკა. მრავლობითის ძველი ფორმა 43

სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვები 44

თავი 3.

ბუნების სურათები 45

წელიწადის ორი დრო *გალაკტიონ ტაბიძე* 46
*** (ცელი კივის და ველები) *გალაკტიონ ტაბიძე* 47
თეორია. ჯვარედინი რითმა 48
ცის და მიწის მეფეები – არწივი და ლომი. არწივი *იაკობ გოგებაშვილი* . 49
გრამატიკა. არსებითი სახელის ბრუნება 51
გრამატიკა. არსებითი სახელის კვეცა 54
ლომი *იაკობ გოგებაშვილი* 55
მზე და ღრუბელი *ვაჟა-ფშაველა* 58
გრამატიკა. არსებითი სახელის კუმშვა 59
ფშა *რევაზ ინანიშვილი* 60
ტყეებს ნუ კაფავ! *ხალხური* 64
გრამატიკა. კუმშვად-კვეცადი სახელები 65
ქორი და წიწილა *ვაჟა-ფშაველა* 66
ორაგულის ცხოვრება. ორაგული სამშობლოდან ზღვისკენ მიდის . . 67
გრამატიკა. -დან თუ -გან? 69
ორაგული ზღვიდან სამშობლოში ბრუნდება 70
შინ, სამშობლოში! *იაკობ გოგებაშვილი* 72
გრამატიკა. ზმნა 73
ყაყაჩო *ლადო ასათიანი* 74
თეორია. გაპიროვნება 75

თავი 4.

უხსოვარი დროის ამბებიდან 76

*** (მზე და მთვარე) *ხალხური* 77

გრამატიკა. ზმნის უღლება 79

ცეცხლის მოთვინიერების ამბავი *ჯურხა ნადირაძე* 80

გრამატიკა. ზმნა და არსებითი სახელი 81

ძველი თქმულება *ვახტანგ კოტეტიშვილი* 83

*** (ორშაბათობით აშენდა) *ხალხური* 84

გრამატიკა. ზმნის წინა მარცვალი 85

უღუ და თეთ *ნინო ნაკაშიძე* 86

თეორია. აღწერა 93

უძველესი ნახატები *ჯურხა ნადირაძე* 94

თეორია. ფაქტი და ვარაუდი 98

ლექსიკონი 99

თავი 1-ლი

ხელოვნების ძალა

დაუკარ, სტვირო, დაუკარ,
აჟღერდი, გამახარეო...
ვაჟა-ფშაველა

აქ შეისწავლი...

- მეჩონგურე (ქართული ხალხური ზღაპარი)
  გრამატიკა. ქართული ანბანი და ასოთა სახელები
- სალამურას თავგადასავალი (ნაწყვეტები)
  გრამატიკა. მჟღერი და ყრუ თანხმოვნები
- ხელოვნების სამი დარგი

მეჩონგურე

(ქართული ხალხური ზღაპარი)

1.

იყო ერთი ხელმწიფე. ჰყავდა ერთადერთი ქალი, რომელიც სილამაზით მზეს ეცილებოდა. მამა ქალის მთხოვნელებს ეუბნებოდა: ამა და ამ ადგილას, ამა და ამ ბაღში იზრდება უკვდავების ვაშლის ხე, ვინც იმ ხის ნაყოფს მომიტანს, ჩემს ქალს იმას მივათხოვებო.

ბევრი ვაჟკაცი წავიდა ვაშლის საძებრად, მაგრამ უკან დაბრუნებული არავინ უნახავთ.

ხელმწიფის სასახლის მახლობლად ერთი მეჩონგურე ცხოვრობდა. მეჩონგურეს სახელი ჰქონდა განთქმული თავისი სიმღერებითა და დაკვრით. მასაც მოსწონდა მზეთუნახავი, მაგრამ ხელმწიფესთან მისვლას ვერ ბედავდა. ერთ მშვენიერ დღეს ეს მეჩონგურეც მივიდა სასახლეში და მეფეს მზეთუნახავის ხელი სთხოვა. მასაც უკვდავების ოქროს ვაშლის მოტანა დაავალეს.

აიღო მეჩონგურემ თავისი ჩონგური და გაუდგა გზას. იარა, იარა, ცხრა მთა გადაიარა და მიადგა ერთ უზარმაზარ ბაღს, რომელსაც ისეთი მაღალი კედელი ჰქონდა შემოვლებული, ჩიტიც ვერ გადაფრინდებოდა.

მეჩონგურემ დიდხანს უარა ბაღს გარშემო, მაგრამ კარი ვერსად უპოვა. უვლის ბაღს მეჩონგურე ირგვლივ, უკრავს ჩონგურს და მღერის ტკბილად. ამ სიმღერას ყურს უგდებს მთელი ქვეყანა: ტყემ შეაჩერა ფოთლების შრიალი და ტკბება სიმღერით, ცაში მონავარდე ფრინველები



ბაღისაკენ მიფრინავენ, სხდებიან მახლობელ ხეებზე და ყურს უგდებენ მეჩონგურის საამურ ხმას. სიმღერამ დაატკბო ყველაფერი, თვით ქვის კედელიც კი.

უცებ მეჩონგურის წინ გაიხსნა სალი* კლდის კედელი და გამოჩნდა ყვავილებით მოფენილი გზა. გზა პირდაპირ ბაღში მიდიოდა. მიჰყვება ამ ყვავილოვან გზას მეჩონგურე და თანაც მღერის თავის გულსაკლავ სიმღერას.

ის უკვდავების ვაშლის ხე თურმე ამ ბაღში იდგა და მას მცველად ჰყავდა გველვეშაპი. ვინც ბაღს ახლოს მიეკარებოდა, გველვეშაპი ცოცხლად ყლაპავდა. როდესაც უცხო ხმა შემოესმა, ურჩხული ახრიალდა, საზიზღარი პირი დააღო და საშინელი ხმით დაიღმუვლა: ვინ არის ეს თავხედი, ვინ გაბედა ჩემს ბაღში შემოსვლა, აქ ჩემი შიშით დაბლა ჭიანჭველები ვერ დადიან და ცაში ფრინველები ვერ დაფრინავენო!

იმსჯელე

1. ჩამოთვლილთაგან რომელი გამოთქმების დახმარებით დაადასტურებ, რომ ნაწარმოები „მეჩონგურე“ ზღაპარია?

ხელმწიფის სასახლე, მზეთუნახავი ქალი, უზარმაზარი ბაღი, უკვდავების ვაშლი, მონავარდე ფრინველები, მცველი გველვეშაპი, სალი კლდე, გულსაკლავი სიმღერა.

დაწერე (დავალება)

2. ტექსტში იპოვე და ამოიწერე ზღაპრისათვის დამახასიათებელი გამოთქმები:

ა) გამოთქმა, რომელიც მეფის ასულის სილამაზეს აღწერს;
ბ) რომელიც მიგვანიშნებს, რომ მეჩონგურემ გრძელი გზა გაიარა;
გ) რომელიც ბაღის კედლის სიმაღლეზე მიგვანიშნებს;
დ) რომელიც საშიში გველვეშაპის მუქარას გადმოგვცემს.

3. მეჩონგურის სიმღერას ძალიან დიდი ძალა ჰქონდა. მეხუთე აბზაცში იპოვე და ამოიწერე ამ აზრის დამადასტურებელი სამი მაგალითი.

გაიხსენე (ჯგუფური სამუშაო)

4. გაიხსენეთ სხვა ზღაპრები, სადაც რომელიმე პერსონაჟი რთული დავალების შესასრულებლად მიდის. ჩამოწერეთ მათი სათაურები.

გამარჯვებულია ის ჯგუფი, რომელიც ყველაზე მეტ ზღაპარს გაიხსენებს.

ივარაუდე

5. როგორ გაგრძელდება ეს ზღაპარი? განმარტე, კერძოდ რას, წაკითხულის რომელ ნაწილს ეყრდნობა შენი ვარაუდი.

2.

მეჩონგურე უკრავს და მღერის; მღერის თავის სიმღერას და თვალებიდან თქრიალით მოსდის მდუღარე ცრემლი; მღერის და თანაც ტირის. გველვეშაპი ღრიალით გამოქანდა მეჩონგურისაკენ, საზარელი პირი დააღო, უნდა ჩაეყლაპა, მაგრამ უცებ შეჩერდა და ყური დაუგდო მას. ტკბილმა სიმღერამ გააბრუა ურჩხული, დიდხანს უსმენდა გაჩუმებული. მგრძნობიარე ხმას ვეღარ გაუძლო მისმა ბოროტმა გულმაც და გასისხლიანებული თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა. აკანკალებული და აცრემლებული უცქეროდა საზარელი გველვეშაპი მეჩონგურეს, რომელიც კიდევ უფრო მგრძნობიარე ჰანგზე* მღეროდა.

ერთი კიდევ ჩამოჰკრა მეჩონგურემ და უცებ დასწყდა ჩონგურს ლარები*. შეწყდა წკრიალა ხმებიც. თავდახრილი მეჩონგურე დგას პირდაღებული ურჩხულის წინაშე და გადმოსდის ცრემლი. თვალებდასისხლიანებული გველვეშაპი დუმს, მასაც თვალებში ცრემლები უჩანს და სიბრალულით შესცქერის მეჩონგურეს.

უცებ გველვეშაპი გონს მოვიდა. ასწია თავი, მოწყვიტა უკვდავების ვაშლი და გაუწოდა ადამიანს. მეჩონგურე შეკრთა, თვალებს არ უჯერებდა. გველვეშაპმა უთხრა: წაიღე, ნუ მორცხვობ. ჩემს სიცოცხლეში ასეთი ხმა არ მსმენია, არავინ დამლაპარაკებია მაგნაირი ენით. წადი, წაიღე ეს ვაშლი და სიტყვას გაძლევ, დღეის იქით აღარ დავღვარო შენი მოდგმის სისხლი, რა ტკბილი ყოფილა ადამიანის ხმაო.

გახარებულმა მეჩონგურემ დაავლო ხელი უკვდავების ვაშლს და უკან გამობრუნდა.

ხალხური



შენიშვნა: * – ასეთი ნიშნით გამოყოფილი სიტყვების განმარტება მოიძიე წიგნის ბოლოს დართულ ლექსიკონში.

იმსჯელე

1. რა მიგანიშნებს ტექსტში იმაზე, რომ მეჩონგურე, მართლაც, მთელი არსებით, დიდი გრძნობით მღეროდა.

2. განმარტე:

ა) რა გრძნობამ გამოიწვია მეჩონგურის ცრემლები?
ბ) რა იყო გველვეშაპის ცრემლების მიზეზი?

3. შენი აზრით, რატომ არგუნა მეზღაპრემ უკვდავების ვაშლი მეჩონგურეს?

4. როგორ ფიქრობ, რა არის ამ ზღაპრის მთავარი სათქმელი, დედააზრი?

დაწერე

5. ზღაპარში რა რის შემდეგ მოხდა? სწორი მიმდევრობით გადაიწერე ქვემოთ მოცემული გეგმა:

- უეცრად კლდე გაიხსნა და მეჩონგურე ბაღში შევიდა.
- ერთმა მეჩონგურემ მეფეს მზეთუნახავი ქალის ხელი სთხოვა.
- მეჩონგურე უკვდავების ვაშლის მოსატანად წავიდა.
- გველვეშაპი საშინლად გაბრაზდა, როცა ბაღში უცხო სულიერი დაინახა.
- ფრინველები ადამიანს სულგანაბულები უსმენდნენ.
- მას უკვდავების ვაშლის მოტანა დაავალეს.
- მეჩონგურეს სიმღერა არ შეუწყვეტია.
- გველვეშაპი ადამიანის ტკბილი ხმით მოიხიბლა და მეჩონგურეს უკვდავების ვაშლი მისცა.
- მეჩონგურე ბაღს გარშემო უვლიდა, ჩონგურს უკრავდა და თან საამო ხმით მღეროდა.

6. წერილობით უპასუხე შეკითხვას – როდის და რატომ ატირდა გველვეშაპი?

დახატე (დავალება)

7. ზემოთ მოცემული გეგმიდან აირჩიე და დახატე რომელიმე ეპიზოდი. საკუთარი ნახატი დაასათაურე.

8. გამართეთ კლასში ამ ნახატების გამოფენა.

დავალება შემდეგი გაკვეთილისთვის

9. გამოფენიდან აირჩიე თანაკლასელის ერთი ნახატი, რომელიც, შენი აზრით, ყველაზე უკეთ შეესაბამება შერჩეულ სათაურს და დაასაბუთე შენი არჩევანი. მსჯელობა დაიწყე ასე:

ა) მე ვფიქრობ, ... **ბ) ჩემი აზრით, ...**

გრამატიკა

ქართული ანბანი
და ასოთა სახელები

ა ანი	მ მანი	ღ ღანი
ბ ბანი	ნ ნარი	ყ ყარი
გ განი	ო ონი	შ შინი
დ დონი	პ პარი	ჩ ჩინი
ე ენი	ჟ ჟანი	ც ცანი
ვ ვინი	რ რაე	ძ ძილი
ზ ზენი	ს სანი	წ წილი
თ თანი	ტ ტარი	ჭ ჭარი
ი ინი	უ უნი	ხ ხანი
კ კანი	ფ ფარი	ჯ ჯანი
ლ ლასი	ქ ქანი	ჰ ჰაე